ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3144438

ნომერი: AR1483502

თარიღი : 05.03.2017

გაცემის თარიღი : 13.03.2017

გაცნობის თარიღი : 07.04.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N197 ; ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N195 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეთერ მახარაძე პ/ნ 61006077204
- ხელვაჩაური დ. მახინჯაური აღმაშენებლის ქ. N33

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1483502 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: #01.13.02.001.019, 01.13.02.001.020) სასტუმროს განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
თქვენს დაინტერესებაში არსებული საკადასტრო ერთეულები (საკადასტრო კოდი: #01.13.02.001.019, 01.13.02.001.020) უშუალოდ ემიჯნება იმ სატრანსპორტო კვანძს, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება შესაძლოა დაიწყოს უახლოეს მომავალში. აქედან გამომდინარე მოცემული ტერიტორიის სამშენებლო განვითარება დროებით შეჩერებულია. საკითხის განხილვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ დიდი დიღომი, გლდანისა და ბელიაშვილის ქუჩების შემაერთებელი კვანძის პროექტის დამუშავების შემდგომ, რომლის ფარგლებში შესაძლოა განხორციელდეს არსებული რეგისტრაციების ადგილმდებარეობის ან კონფიგურაციის ცვლილება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა და გასცეს დადებითი ქალქგეგმარებითი დასკვნა მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.